

## მულტირელიგიური საქართველო

მრავალფეროვნება ყველა საკითხში მნიშვნელოვანია. შვიდი განსხვავებული ფერი ქმნის ცისარტყელას, სამი განსხვავებული მუსიკალური ხმა კი, მრავალხმიანობას. ორივე შემთხვევაში ჰარმონია მიიღწევა მრავალფეროვნებით, ერთმანეთისგან განსხვავებულების ერთიანობით.

ასეა რელიგიურ მრავალფეროვნებასთან მიმართებაშიც. საქართველო პატარა ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან: პოლიტიკური შეხედულებებით, მსოფლმხედველობით, რელიგიური მრწამსით და სხვ. მათგან ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგია. ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს. ისინი ახერხებენ და ნაკლები დაპირისპირებებით თანაცხოვრობენ. მულტირელიგიურობა სწორედ ამას გულისხმობს, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა თანაცხოვრებას ერთი ქვეყნის ცის ქვეშ. დაუშვებელია დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით. ჩვენ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები და ისე უნდა მოვექცეთ ჩვენი სარწმუნოებისგან განსხვავებული შეხედულებების ადამიანს, როგორც გვგონია, რომ უნდა მოგვექცნენ ჩვენ ისინი, ვისაც ჩვენი პოზიციის გაზიარება არ შეუძლია ამ საკითხში. აქ მახსენდება ვიქტორ ჰიუგოს ფრაზა: "ტოლერანტობა საუკეთესო რელიგიაა".

ისტორიული თვალსაწიერით თუ განვსჯით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ოდითგანვე იყო მულტირელიგიური ქვეყანა და აქ საუკუნეების წინ ურთიერთთანაცხოვრობდნენ ადამიანები, მათი რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად. უფრო მეტიც, ამ ტოლერანტული დამოკიდებულების ავანგარდში იყვნენ ქვეყნის პირველი პირები. მოვიგონოთ დავით აღმაშენებელი და მისი სამაგალითო დამოკიდებულება მუსლიმი ვაჭრების მიმართ, ან თამარ მეფე, რომლის მმართველობის დროსაც სამეფო კარზე მსახურობდნენ მონოფიზიტური აღმსარებლობის ძმები - ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მეტყველებენ ერთადერთზე, რომ ჩვენ ტოლერანტული ერი ვართ. საქართველოში მცხოვრებ რომელი აღმსარებლობის ადამიანსაც არ უნდა ჰკითხოთ თუ რა სურთ, ყველა გეტყვით, რომ საქართველოს ძლიერება სურთ. მათ საერთო მიზანი აქვთ, საერთო ნაციონალური პოზიცია და საერთო აზრი, რომ უნდათ საქართველო იყოს ძლიერი. მრავალფეროვანი ხალხი აშენებს ქვეყანას, სადაც აქვთ თანაბარი უფლებები, მოვალეობები და საერთო პატრიოტული მიზანი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რელიგიური განსხვავებულობა ხელშემშლელი კი არ არის, არამედ მთავარი მამომრავებელი ძალაა ნამდვილი, დასავლური, დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. და დიახ, ჩვენ რომ გავხდეთ დასავლური ცივილიზაციის ნაწილი, მულტირელიგიურობა, ტოლერანტობა და ერთიანობა ამ საკითხებში არის და იქნება გადამწყვეტი ფაქტორი.

ჩემ ირგვლივ, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები არიან, რომელთანაც მე ვმეგობრობ, მაქვს კარგი ურთიერთობა. არასდროს ყოფილა ჩემთვის ადამიანთან საკომუნიკაციოდ შემაფერხებელი ფაქტორი, მისი რელიგიური მრწამსი. როგორც უოლტ უიტმენი ამბობდა: " როდესაც ვინმეს შეხვდები, არ მაინტერესებს ის თეთრი, შავი, ებრაელი თუ მუსლიმია. ჩემთვის საკმარისია ვიცოდე, რომ ის ადამიანია". მგონი მოვიდა დრო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავანებოთ თავი ადამიანთა დისკრიმინაციას და ბუღინგს რელიგიური მოტივით და არა მხოლოდ. როცა ვსაუბრობთ, რომ ისტორიულად ვართ მულტირელიგიური ერი და დღემდე ვინარჩუნებთ ერთიანობას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში ამ კუთხით არ არსებობს გამოწვევები. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, რომ თავი დავაღწიოთ საბჭოთა მარწუხებს და საბოლოოდ გავითავისოთ მულტირელიგიურობის მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღემდე ფიქსირდება დაპირისპირებები რელიგიურ ნიადაგზე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ლოკალურ დონეზე, კონკრეტულ პერიფერიებში. ამის მაგალითი იყო რამდენიმე თვის წინ მომხდარი მძიმე დაპირისპირება გურიის ერთ-ერთ სოფელში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. ეს ადამიანები ამ სოფელში დიდი ხანია თანაცხოვრობენ, მათი წინაპრებიც ერთად იდგნენ ქვეყნის სამსახურში, მაგრამ მაინც მოხდა რელიგიური შუღლის გაღვივება და ლამის სავალალო შედეგები მივიღეთ. თუმცა, მალევე მიხვდა თითოეული მათგანი, რომ ასეთ დაპირისპირებებს არაფერი კარგი არ მოაქვს სახელმწიფოსთვის და საბოლოოდ შეჯერდნენ ერთ პოზიციაზე, ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და აგრძელებენ მშვიდობიან თანაცხოვრებას ერთ სოფელში.

ვფიქრობ, ამგვარ გამოწვევებზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება და მნიშვნელოვანია თვითშეგნების ამაღლება საზოგადოებაში მულტირელიგიურობის კუთხით. აქტიური საუბარი და საინფორმაციო კამპანიები მესახება პრობლემის აღმოფხვრის მთავარ გასაღებად. რადგან ისეთი პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, იმ პირობებში, როცა არსებობს უმრავი სხვა გამოწვევა, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია თავიდან იქნეს აცილებული დაპირისპირებები რელიგიურ ნიადაგზე, რათა არ შევბღალლოთ ის ისტორია, რაზეც მე ზემოთ ვისაუბრე და ჩვენი სამაგალითო ქცევით, მულტირელიგიურობის თვალსაზრისით, გავაგრძელოთ დავითისა და თამარის გზა.

ერთი სიტყვით, მულტირელიგიური საქართველო იყო მრავალი საუკუნის უკან, არის დღეს გამოწვევებით და ჩემი რწმენით, იქნება მომავალშიც და ვიტყვით, რომ საქართველო, როგორც მულტირელიგიური სახელმწიფო, შედგა!

გიორგი მორჩილაძე

აკეთის საჯარო სკოლა

მე-12 კლასი